განმარტებითი ბარათი

„სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №2 დადგენილებაში ცვლილებების და დამატებების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით

პროექტის დამახასიათებელი ნიშნები:

პროექტი ეფუძნება:

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებას; ,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ საქართველოს 2025 წლის 28 თებერვლის №383 განკარგულებას; ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ“ საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებას; ,,მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის №382 განკარგულებას; შესაბამისად ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ''-ში ასახულ იქნეს სათანადო ცვლილებები და დამატებები.

,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტისათვის თანხის გამოყოფის შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2024 წლის 31 დეკემბრის №1955 განკარგულებით ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან პუნქტი 1.36-ით სენაკის მუნიციპალიტეტისათვის დანართი №36-ით გამოყოფილი თანხა შეადგენს 7 698 583 (შვიდი მილიონ ექვსასოთხმოცდათვრამეტი ათას ხუთასოთხმოცდასამი) ლარს, მათ შორის: ეკის ადმინისტრაციულ ერთეულში ცენტრალური გზის რეაბილიტაცია 542 270(ხუთასორმოცდაორი ათას ორასსამოცდაათი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 1 235 996 (ერთი მილიონ ორასოცდათხუთმეტი ათას ცხრაასოთხმოცდათექვსმეტი) ლარი; მეორე ნოსირის ადმინიტრაციულ ერთეულში, ჭუბაბრიების, მილორავების უბნებში გზის რეაბილიტაცია - 387 661 (სამასოთხმოცდაშვიდი ათას ექვსასსამოცდაერთი) ლარი; გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში საკუპრეიშვილოს უბანში გზის რეაბილიტაცია 268 363(ორასორმოცდარვა ათას სამასსამოცდასამი) ლარი; ნოქალაქევის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლებაღათურიეს უბანში სასაფლაომდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 716 321(შვიდასთექვსმეტი ათას სამასოცდაერთი) ლარი; გოლასკური-ზემო ჭალადიდის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 600 000(ექვსასი ათასი) ლარი; ქალაქ სენაკში კალისტრატე გრიგოლიას ქუჩის რეაბილიტაცია 73 320(სამოცდაცამეტი ათას სამასოცი) ლარი; ქლაქ სენაკში ვაჟა-ფშაველას ქუჩის რეაბილიტაცია 76 455(სამოცდათექვსმეტი ათას ოთხასორმოცდათხუთმეტი) ლარი; ზანის ადმინისტრაციულ ერთეულში, საესებუოს უბანში გზის რეაბილიტაცია 300 000(სამასი ათასი) ლარი; ლეძაძამეს ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბეთლემში ეკლესიამდე მისასვლელი გზის რეაბილიტაცია 85776 (ოთხმოცდახუთი ათას შვიდასსამოცდათექვსმეტი) ლარი; სანკტ პეტერბურგის ქუჩის რეაბილიტაცია(ჟ.შარტავას ქუჩიდან თბილისის ქუჩამდე) 62 242(სამოცდაორი ათას ორასორმოცდაორი) ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციული ერთეულისა და უშაფათის ადმინისტრაციული ერთეულის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია 200 000(ორასი ათასი) ლარი;

ძველი სენაკის ადმინისტრაციულ ერთეულში, პატარა შხეფის უბანში გზის რეაბილიტაცია 252963(ორასორმოცდათორმეტი ათას ცხრაასსამოცდასამი) ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის რეაბილიტაცია (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით) 600 000(ექვსასი ათასი) ლარი; ზემო ჭალადიდის ადმინისტრაციულ ერთეულში გზის (ზემო ჭალადიდის ცენტრიდან საგვიჩიოს მიმართულებით, მეორე ეტაპი) 184 431(ასოთხმოცდაოთხი ათას ოთხასოცდათერთმეტი) ლარი; ხორშის ადმინისტრაციულ ერთეულში, სკოლიდან მეურნეობისაკენ მიმავალი გზის რეაბილიტაცია 400 000(ოთხასი ათასი) ლარი; ახალსოფლის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ისულაში სპორტული მოედნის მოწყობა 116 362(ასთექვსმეტი ათას სამასსამოცდასამი) ლარი; თეკლათის ადმინისტრაციულ ერთეულში, გოლასკურის უბანში სპორტული მოედნის მოწყობა 109055(ასცხრა ათას ორმოცდათხუთმეტი) ლარი; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, საოდიშარიოს უბანში სპორტული მოედნის მოწყობა 116 554(ასთექვსმეტი ათას ხუთასორმოცდათოთხმეტი) ლარი; ქ.სენაკი, დედის ქუჩაზე ტრენაჟორის მოწყობა და ქ.სენაკი, დედის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობა 175 068(ასსამოცდათხუთმეტი ათას სამოცდარვა) ლარი; ქ.სენაკი, მიშა ღვინჯილიას ქუჩა №3 ა-ში სპორტული მოედნის მოწყობა 119 923(ასცხრამეტი ათას ცხრაასოცდასამი) ლარი; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სახარბედიოში მე-3 ქუჩისა და შესახვევების რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; ძველი სენაკის ადმინისტრაცულ ერთეულში, საარახამიოს უბანში გზის რეაბილიტაცია (მე-5 ქუჩა) 80 000(ოთხმოცი ათასი) ლარი; ძველი სენაკის ადმინისტრაცულ ერთეულში, სოფელ სორტაში, ჩილაჩავების უბანში გზის რეაბილიტაცია (მე-3 ქუჩა; 1 ქუჩის 1 ჩიხი) 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; ნოსირის ადმინისტრაციულ ერთეულში, სასოლომონიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ბათარიაში მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 ქუჩების რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეგოგინეს უბანში გზის რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში, ლეკოკაიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; გეჯეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, საჯღამაიოს უბანში გზის რეაბილიტაცია 80 000 (ოთხმოცი ათასი) ლარი; ფოცხოს ადმინისტრაციულ ერთეულში, ლედემურიეს უბანში გზის რეაბილიტაცია 221227 (ორასოცდაერთი ათას ორასოცდაშვიდი) ლარი; მენჯის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ სახარბედიოში I ქუჩის I შესახვევის რეაბილიტაცია 61 589 (სამოცდაერთი ათას ხუთასოთხმოცდაცხრა) ლარი; ქ. სენაკი, ლადო ასათიანის ქუჩის რაებილიტაცია 153 007(ასორმოცდაცამეტი ათას შვიდი) ლარი; ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, კაპიტალური ტრანსფერი (კოდი1332112) 1712785(ერთი მილიონ შვიდასთორმეტი ათას შვიდასოთხმოცდახუთი) ლარით და შესაბამისად გაიზარდოს: გზების რეკონსტრუქცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 02 01) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 1075823(ერთი მილიონ სამოცდათხუთმეტი ათას რვაასოცდასამი) ლარით; სპორტის ობიექტების რეაბილიტაციის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 01 04) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 636 962(ექვსასოცდათექვსმეტი ათას ცხრაასამოცდასამი) ლარით.

,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 30 იანვრის №186 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ" საქართველოს 2025 წლის 28 თებერვლის №383 განკარგულებით, სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ,,საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სენაკის მუნიციპალიტეტს გამოუყო 2 770 000(ორი მილიონ შვიდასსამოცდაათი ათასი) ლარი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, სპეციალური ტრანსფერი (კოდი 1332111)

2 770 000(ორი მილიონ შვიდასსამოცდაათი ათასი) ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს სტიქიის შედეგების ლიკვიდაცია (პროგრამული კოდი 02 08) არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 2 770 000(ორი მილიონ შვიდასსამოცდაათი ათასი) ლარით.

საქართველოს მთავრობის 2024 წლის 24 იანვრის №146 განკარგულებით ,,ზოგიერთი მუნიციპალიტეტებისათვის უფლებამოსილებების ხელშეკრულების საფუძველზე დელეგირების შესახებ" საჯარო სკოლების ტრანსპორტით უზრუნველყოფის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი მიზნობრივი ტრანსფერის ოდენობა განისაზღვრა 812335,84 (რვაასთორმეტი ათას სამასოცდათხუთმეტი ლარი და 84 თეთრი) ლარით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ,,სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი"-ში გაიზარდა შემოსულობები სახელმწიფო ბიუჯეტიდან (მიზნობრივი ტრანსფერი კოდი 1331112) 704 760,16 (შვიდასოთხი ათას შვიდასსამოცი ლარი და 16 თეთრი) ლარით და შესაბამისად გაიზარდა საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02) საქონელი და მომსახურების მუხლი 812335,84 (რვაასთორმეტი ათას სამასოცდათხუთმეტი ლარი და 84 თეთრი) ლარით.

,,მუნიციპალიტეტებისათვის მიზნობრივი ტრანსფერის გამოყოფის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2025 წლის 28 თებერვლის №382 განკარგულების საფუძველზე საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-17 მუხლის საფუძველზე, დელეგირებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით სენაკის მუნიციპალიტეტის გამოეყო 10 000(ათი ათასი) ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიზანშეწონილია „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტ"-ში გაიზარდოს შემოსულობები - გრანტები, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი, კერძოდ, მიზნობრივი ტრანსფერი (კოდი1331112) 10 000(ათი ათასი) ლარით და შესაბამისად, გაიზარდოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების (პროგრამული კოდი 06 01 01) სუბსიდიის მუხლი 10 000(ათი ათასი) ლარით.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის უფროსი, ითხოვს შევიდეს ცვლილება ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების (პროგრამული კოდი 06 02 11)" პროგრამის მიზანში და აღწერაში, კერძოდ, პროგრამა ითვალისწინებს მძიმე სოციალური და ეკონომიკური საჭიროებების მქონე იმ ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, რომელთაც მცირე შემოსავლების გამო არ აქვთ საშუალება უზრუნველყონ საკუთრებაში/თანასაკუთრებაში/მფლობელობაში არსებული საცხოვრებელი სახლის დაზიანებული სახურავის სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოების ჩატარებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ,,სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობრების გაუმჯობესების (პროგრამული კოდი 06 02 11)" პროგრამის მიზანი და აღწერა უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

,,დახმარება გაეწევა შემდეგ ოჯახებს:

ა) ოჯახს, რომლის ყველა წევრიც კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულია სენაკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და საცხოვრებელი სახლი არის ოჯახის წევრების საკუთრებაში/თანასაკუთრებაში/მფლობელობაში. აღნიშნული უნდა დასტურდებოდეს უფლებამოსილი დაწესებულებიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახი, რომელსაც ჰყავს სამი და მეტი შვილი და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვს 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ან ნაკლები სარეიტინგო ქულა;

გ) ოჯახი, სადაც ცხოვრობს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი ან მარტოხელა პენსიონერი და სოციალური მომსახურების სააგენტოს სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში მინიჭებული აქვს 65 000 (სამოცდახუთი ათასი) ან ნაკლები სარეიტინგო ქულა;

დ) ოჯახი, რომელიც იმყოფება უკიდურეს ეკონომიკურ გასაჭირში და დახმარების გაცემის მომენტში არ აკმაყოფილებს ამ მუხლით გათვალისწინებულ კრიტერიუმებს.

დახმარების მისაღებად მოქალაქემ უნდა წარმოადგინოს: პირადობის მოწმობის ქსეროასლი; სოციალურად დაუცველთა მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის დამადასტურებელი მოწმობის ასლი; საცხოვრებელი სახლის საკუთრების/თანასაკუთრების/მფლობელობის დამადასტურებელი დოკუმენტი. წარმოდგენილი განცხადებისა და თანდართული დოკუმენტების განხილვა განხორციელდება სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მიერ შექმნილი სათანადო კომისიის მიერ, „სოციალურად დაუცველი ოჯახების საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების პროგრამიდან დახმარების გაცემის წესის“ საფუძველზე. კომისიის სხდომის ოქმი და დასკვნა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღების მიზნით წარედგინება სენაკის მუნიციპალიტეტის მერს. სახურავის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამუშაოები განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე“.

ამასთან, „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტი“-ს დაზუსტებასთან დაკავშირებით აუცილებელია შემცირდეს 2025 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით სენაკის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე რიცხული თავისუფალი ნაშთი (სახელმწიფო ბიუჯეტი) 110 500(ასათი ათას ხუთასი) ლარით, რისთვისაც შემცირდეს სტიქიის შედეგების ლიკვიდაციის პროგრამაში (პროგრამული კოდი 02 08) არაფინანსური აქტივის ზრდის მუხლი 110 500(ასათი ათას ხუთასი) ლარით.

ყოველივე ზემოაღნიშნული ასახული უნდა იქნეს „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 24 იანვრის №4 დადგენილებაში, რისთვისაც წარმოგიდგენთ დადგენილების პროექტს.

პროექტი მომზადებულია სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო- საბიუჯეტო სამსახურის მიერ.

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბადრი ქუთელია

სენაკის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ნანა ზარანდია

საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი დონარა ალანია